

გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

დავით მესხიშვილი
Davit Meskhishvili

ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და
სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში

**The Criminological and Criminal Law Characteristic of Organized
Crime in Georgia**

სპეციალობა: სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია
Specialty: Criminal Law and Criminology

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად
**Thesis is presented for obtaining of the Dr. of Law Academic
Degree**

რეზიუმე
Abstract

თბილისი
Tbilisi
2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით მესხიშვილი

ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და
სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში

სპეციალობა: სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია

დისერტაცია წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი
2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
გიორგი ღლონტი

სამართლის დოქტორი,
პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები (ოპონენტები):

ოთარ გამყრელიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გოჩა მამულაშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება _____

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტისა და სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, ჯანო
ბაგრატიონის ქ. #6)

რეზიუმე დაიგზავნა 2011 წლის _____

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
სადისერტაციო საბჭოს სწავლური მდივანი:

თამარ ღლონტი

სარჩევი

1.	ნაშრომის აქტუალობა	5
2.	კვლევის მიზნები და ამოცანები	9
3.	კვლევის მეთოდები	10
4.	ნაშრომის სიახლეები	11
5.	დისერტაციის სტრუქტურა	13
6.	ნაშრომის შინაარსი	13
7.	დასკვნა	28
8.	გამოყენებული ლიტერატურა	33
9.	გამოქვეყნებული პუბლიკაციები	42

ნაშრომის აქტუალობა

ადიარებულისა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წამოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები. თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გლობალურმა ეკონომიკამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ორგანიზებული დანაშაულობის შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსირების, კომუნიკაციების და გადაადგილების უპრეცედენტო გამარტივებამ, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ზრდასთან ერთად, კრიმინალურ უამრავი შესაძლებლობა მისცა უკანონო ბიზნესის საწარმოებლად. მარტივად რომ ითქვას, უკანონო საქონელი შეიძლება დამზადდეს ერთ კონტინენტზე და მეორის გავლით გავრცელდეს მესამეზე.

მაფიური ტიპის დაჯგუფებები დღესდღეობით სწორედ ტრანსნაციონალურ საფრთხეს წარმოადგენენ, რომლებიც დარტყმას აყენებენ სახელმწიფო უსაფრთხოებას, ხელს უშლიან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, განსაკუთრებით - განვითარებად და შიდა კონფლიქტებით მოცულ ქვეყნებში.

ასეთი ტიპის დაჯგუფებებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

- ნარკოკარტელები ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის კუნძულებსა და აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში, რომლებიც მიზანმიმართულად თესავენ ძალადობას და რიგ შემთხვევაში თავად ილაშქრებენ ლეგიტიმური სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ;
- აჯანყებულების „ფსევდორევოლუციური“ დაჯგუფებები სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ცენტრალურ აფრიკაში, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა კრიმინალურ გაერთიანებებთან და კვებავენ ტერორიზმს;
- ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციისა და თანამედროვე მონობის სხვა ფორმების ხელშემწყობი დაჯგუფებები როგორც ევროპაში, ისე ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში;
- საერთაშორისო დაჯგუფებები ყოფილი საბჭოთა კავშირის, აზიის, ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც დაკავებული არიან უკანონო იარაღის, აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნოლოგიების ვაჭრობით.

ამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამჟამად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა, რადგან ამ ტიპის კრიმინალის გლობალური მასშტაბების გათვალისწინებით, ცალკეული ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტურია. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით განსკუთრებულ როლს ასრულებს „საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი“. მას მონაცემთა დიდი ბაზა გააჩნია და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, პროცესების ანალიზის ძირითადი ორგანოა. ინტერპოლი ახორციელებს ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურ მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გამოძიებას. ამ სახის კრიმინალთან მიმართებით ინტერპოლის ფუნქცია წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის წარმართვა, ამ სფეროში მოქმედი ყველა - ეროვნულ თუ საერთაშორისო უწყებას შორის ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული კორუფციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის

უზრუნველყოფაა. რაც შეეხება მეორე, მნიშვნელოვან „პოლიციურ ორგანიზაციას“ - ევროპოლს, მისი შექმნის ძირითადი მიზანი, სწორედ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაა.

ბრძოლის ასეთი მასშტაბების მიუხედავად, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი არასაკმარისადაა შესწავლილი. საკმაოდ მწირია ინფორმაცია ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ბაზრებსა და ტრენდებზე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხსენებულ საკითხზე განხორციელებული კვლევების უმრავლესობა ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ ქვეყანასა თუ გეოგრაფიულ ერთეულზე და არ ასახავს გლობალურ სურათს. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენი მუდმივი მსჯელობის საგანია როგორც სამეცნიერო, ისე სამართალდამცავ სფეროებში. ამასთან, მსჯელობა მიმდინარეობს როგორც ზოგადად ინსტიტუტზე, ისე მის ცალკეულ ფორმასა თუ საქმიანობის მიმართულებებზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ორგანიზებული დანაშაულის ცნების, წარმოშობისა და განვითარების, მასთან ბრძოლის არსებული გამოცდილების შესწავლა საკანონმდებლო და პრაქტიკული მეთოდების საფუძველზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სხვა გამოკვლევებისგან განსხვავებით მოცემულ ნაშრომში სიახლეს განაპირობებს ის, რომ მასში განხილულია ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტი, კერძოდ, განხილულია ორგანიზებული დანაშაულობის ცნება, მსოფლიოს ყველა ძირითადი ორგანიზებული დაჯგუფება, მათი წარმოშობა, განვითარება, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მეთოდები, აგრეთვე, ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის უცხოური თუ საერთაშორისო გამოცდილება როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული მეთოდების ანალიზის გზით. ნაშრომში არა მხოლოდ შედარებული და გაანალიზებულია ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა, არამედ შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები მოცემული სახის კრიმინალთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები დადებით გავლენას მოახდენს ამ კუთხით სამართლებრივი მეცნიერების განვითარებაზე, ასევე, აქ ასახული ცალკეული რეკომენდაცია თუ წინადადება

დახმარებას გაუწევს სამართალდამცავი ორგანოების სისტემას აღნიშნული სახის კრიმინალთან ბრძოლის საქმეში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველო არამარტო საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სამიზნედ შეიძლება ჩაითვალოს, არამედ აქ, ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, საკმაოდ დიდი დროის მანძილზე ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიკური ფორმა „ბატონობდა“ ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სახით. აღნიშნული ინსტიტუტის საფუძვლიანი შესწავლა, მისი წარმოშობის მიზეზებისა და განვითარების ეტაპების გაანალიზება, აგრეთვე, მის დასამარცხებლად გატარებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ღონისძიებების მიმოხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამარტო ქართული დოქტრინისათვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც. მოცემულ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა წინამდებარე კვლევაში. ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონი, რომელშიც პირველად ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი გაერთიანებისა და მისი წევრების - „კანონიერი ქურდების“ - დეფინიცია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და განისაზღვრა მათ წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მეთოდები. აღნიშნული კანონი საკმაოდ დიდი დროის მანძილზე იყო მსჯელობის საგანი იურიდიულ წრეებში. მიდიოდა კამათი, მოხდა თუ არა ამ კანონის საფუძველზე სტატუსის კრიმინალიზაცია. ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული ხსენებული საკანონმდებლო აქტი, თეორიულადაა განმარტებული ყველა პრობლემური საკითხი და გამოტანილია დასკვნა, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულად გამოცხადებით სტატუსის კრიმინალიზაცია არ მომხდარა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომი, სამეცნიერო თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და სიახლის შემცველია.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ნაშრომის ძირითადი მიზანია ორგანიზებული დანაშაულის ცნების, ცალკეულ ქვეყანაში არსებული ორგანიზებული დაჯგუფებების წარმოშობის, განვითარების, საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათთან ბრძოლის საკანონმდებლო-პრაქტიკული მეთოდების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე აღნიშნული კრიმინალის სამეცნიერო-პრაქტიკული ჩარჩოს (ორგანიზებული დანაშაულის ერთიანი მეცნიერული ცნების ჩამოყალიბების გზით), მისი წარმოშობა-განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, რეგიონალური თავისებურებების დადგენა და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ცალკეულ ქვეყანაში გავრცელებული ორგანიზებული დაჯგუფებებისა და მათ წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ბრძოლის მეთოდების შედარებისა თუ სამართლებრივი ანალიზის გარეშე. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იტალიასა და აშშ-ს. ეს განპირობებულია იმით, რომ იტალია სამართლიანად ითვლება ქვეყნად, სადაც პირველად აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულის კლასიკური ფორმები და ტრადიციები (მაფია), რომლებიც შემდგომში ფართოდ გავცელდა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აშშ-ში („კოზა ნოსტრა“); აშშ-ში ორგანიზებული დანაშაული ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი სერიოზული ძალა, რომელმაც XX საუკუნეში დიდი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიაში შეიქმნა ყველაზე მრავალფეროვანი და დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა და დაგროვდა ფართო პრაქტიკული გამოცდილება ამ ნეგატიური ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლას სფეროში.

გარდა ამისა, ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმო ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის

ანალიზს და მათ გავლენას ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიაზე გლობალურ და ლოკალურ დონეებზე.

დისერტაციაში განხილულია ორგანიზებული დანაშაულის ისეთი სპეციფიკური და უნიკალური ფორმა, როგორცაა ე.წ. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, რომელიც აღმოცენდა და განვითარდა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და შეინარჩუნა თავისი გავლენა ამ რეჟიმის დაშლის შემდეგაც.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში საფუძვლიანად იქნა შესწავლილი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები თანამედროვე საქართველოში, სადაც ისტორიულ რეტროსპექტივაში არსებობდა ქურდული მენტალიტეტის ღრმა ფესვები და კრიმინალები ტრადიციულად სარგებლობდნენ სერიოზული ავტორიტეტით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კერძოდ, ნაშრომში გაანალიზებულია 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩატარებული პოლიტიკური, სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმები და ახალი საკანდებლო ბაზა (საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა), რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა დანაშაულის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრი შემცირება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა მრავალი თეორიული და პრაქტიკული დასკვნა და რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის დახვეწასა და მის პრევენციას.

კვლევის მეთოდები

სადისერტაციო კვლევა აგებულია ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის

არქიტექტონიკის სტრუქტურულ ორგანიზაციას და ხელს უწყობს მისი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

ამასთან, კვლევისას აქტიურადაა გამოყენებული სხვადასხვა სოციოლოგიური მეთოდიკა, რომლებიც ითვალისწინებს შესწავლის ობიექტისა და საგნის სპეციფიკას, კერძოდ:

- სისტემური მიდგომის მეთოდი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის მრავალფეროვნებისა და იერარქიულობის გაანალიზების საშუალებას იძლევა;
- აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც მოიცავს კვლევისადმი ისეთ მიდგომებს, როგორცაა: ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, ფორმალური ლოგიკა და სხვა;
- ემპირიული მეთოდი, რომელიც აისახა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსა და საექსპერტო დასკვნებში ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ;
- სტატისტიკური მეთოდი, რის საფუძველზეც შესწავლილ იქნა ორგანიზებული დანაშაულის რიცხოვრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და განხორციელდა შედარებითი ანალიზი ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ ჭრილში;
- მონოგრაფიული მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვრცლად და დეტალურად იქნა აღწერილი ორგანიზებული დანაშაულობა როგორც სოციალური მოვლენა და შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები;

სადისერტაციო ნაშრომის სიახლეები

- დისერტაციაში ორგანიზებული დანაშაულობის საერთაშორისო, უცხოური და ეროვნული სამეცნიერო წყაროებისა და კანონმდებლობის გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა მოცემული ნეგატიური მოვლენის ახლებური განმარტება (დეფინიცია);
- განხორციელდა ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეული ფორმის (რეკეტის, მევახშეობის, ტრეფიკინგისა და ა.შ) კრიმინოლოგიური და სამართლებრივი ანალიზი და

გამოვლინდა საქართველოსათვის ამ მხრივ ნიშანდობლივი თავისებურებები;

- ისტორიულ ჭრილში შესწავლილ იქნა მსოფლიოში არსებული კრიმინალური ორგანიზაციები და განხორციელდა მათი და ჩვენში არსებული დაჯგუფებების შედარებითი ანალიზი;
- საქართველოში არსებული ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე გაანალიზდა ამ ფენომენის აღმოცენების წინაპირობები, განვითარების ეტაპები, კულტურული თავისებურებები, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის მექანიზმები და სხვა;
- შემუშავდა „კლასიკური“ და „თანამედროვე“ „კანონიერი ქურდის“ პიროვნული ტიპოლოგია და გამოიკვეთა მათ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნები და საქმიანობის თავისებურებები;
- შემუშავდა „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგია, მომზადდა 40-პუნქტიანი საექსპერტო კითხვარი;
- სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ;
- ექსპერტთა გამოკითხვის საფუძველზე მოხდა ორგანიზებული დანაშაულობის ძირითადი კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენა საქართველოში, მათი დაჯგუფება და სისტემური კლასიფიკაციის მომზადება;
- ჩატარდა 300-ზე მეტი რეგისტრირებული ქართველი კანონიერი ქურდის დოკუმენტური კვლევა, ჩამოყალიბდა და შემუშავდა „კანონიერი ქურდის“ პიროვნული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური პრიორიტეტი;
- გაანალიზდა საქართველოს ახალი საკანონმდებლო ბაზა, მოხდა მისი კომენტირება;
- შეფასდა ორგანიზებული დანაშაულობის, განსაკუთრებით „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის წინააღმდეგ

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა და მომზადდა სათანადო რეკომენდაციები.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, ხუთი თავის, მათი შემადგენელი თექვსმეტი ქვეთავისა და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები.

ნაშრომის შინაარსი

ნაშრომის შესავალი

შესავალში დასაბუთებულია ნაშრომის აქტუალობა, განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა, საგანი, ძირითადი მიზანი და ამოცანები.

თავი პირველი (ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ისტორია) ამ თავში განხილულია ორგანიზებული დანაშაულობის ცნება, მისი ზოგადი ისტორია და ასევე ცალკეა გამოყოფილი მითითებული სახის კრიმინალის განვითარება საქართველოსა და რუსეთში.

პირველ ქვეთავში (ორგანიზებული დანაშაულობის ცნება) განხილულია სხვადასხვა ცნობილი მეცნიერის მიერ განსაზღვრული ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ორგანიზებულ დანაშაულობას. ასევე ფართოდაა მიმოხილული ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის განმავლობაში წარმოებული თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობა ორგანიზებული დანაშაულობის შესწავლის მიზნით. დასასრულს, ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზისა და შეჯერების შედეგად ჩამოყალიბებულია ორგანიზებული დანაშაულობის ცნება.

მეორე ქვეთავში (ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია) საუბარია ორგანიზებული დანაშაულობის ისტორიაზე და მიმოხილულია მისი განვითარება იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოცემულ ქვეთავში ფართოდაა მიმოხილული ხსენებულ ქვეყნებში დანაშაულებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები, ის, თუ რამ გამოიწვია მათი შეუქცევადი გაძლიერება ათეული წლების განმავლობაში. ასევე აღნიშნული ორგანიზაციების დაცემისა და აღზევების მიზეზები, მათი პერიოდული ტრანსფორმაცია თანამედროვე პირობებთან ადაპტაციისათვის.

იტალიისადმი მიძღვნილ ნაწილში მიმოხილულია თანამედროვე სახით მაფიური დაჯგუფებების ჩამოყალიბებამდე არსებული ვითარება ქვეყანაში. შესწავლილია მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ესოდენ ძლიერი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, აგრეთვე შესწავლილია მისი კავშირები და დაპირისპირება როგორც სამართალდამცავ, ისე სხვა ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან, ასევე უშუალოდ სახელმწიფოსთან. გაანალიზებულია ქვეყნის მმართველი სტრუქტურების სისუსტეები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას და აძლიერებდნენ დანაშაულებრივ სინდიკატს.

რაც შეეხება ორგანიზებული დანაშაულობის ისტორიას ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შესწავლა ნაშრომში იწყება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან. მითითებულ პერიოდში ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების სახით შესწავლილია მეკობრეთა გაერთიანებები, მათი საქმიანობა და ხელის შემწყობი პირობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მეცნიერთა ნაწილის აზრით, მეკობრეები, თანამედროვე შეხედულებების შესაბამისად, არ წარმოდგენდნენ ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ფორმას, თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით მათი გაერთიანების, საქმიანობისა და ცხოვრების წესებს, ადვილად დავერწმუნდებით საპირისპიროში, რადგან მათთვის ნიშანდობლივი იყო თითქმის ყველა ის თვისება, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ორგანიზებულ დანაშაულობას. მეკობრეთა შემდეგ, ნაშრომში წამოჩენილია ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია ამერიკის

შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ისეთ მძლავრ და ცნობილ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, როგორცაა იტალიურ-ამერიკული მაფია – კოზა ნოსტრა (La Cosa Nostra). შესწავლილია მისი განვითარებისა და გაძლიერების ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. ასევე ცნობილი მაფიოზური ოჯახების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი თანამედროვე პერიოდად. დასასრულს, ისტორიული ვითარების ანალიზიდან გამომდინარე, ხაზია გასმული იმ ფაქტებსა თუ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს მითითებულ ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულობის არსებული სახით ჩამოყალიბება და ხელი შეუწყვეს ამ სოციალური მოვლენის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას.

მესამე ქვეთავში (ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია საქართველოსა და რუსეთში) განხილულია ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია საქართველოსა და რუსეთში. ჩვენს ქვეყანასთან ერთად რუსეთის კრიმინალური სამყაროს ისტორიის განხილვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფაქტობრივად მე-20 საუკუნის უდიდესი პერიოდის განმავლობაში ეს ორი ქვეყანა გაერთიანებული იყო რა საბჭოთა კავშირში, ერთ სახელმწიფოდ მოიაზრებოდა. შესაბამისად, ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებები ორივეგან იდენტური სახით ჩამოყალიბდა.

საქართველოსთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებული XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოქმედ პოლიტიკურ კრიმინალურ გაერთიანებებზე. მართალია, ძნელია ამ გაერთიანებების წმინდად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის მიკუთვნება თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ერთი შეხედვით, მათ პოლიტიკური მიზნებიც გააჩნდათ, მაგრამ მათი დეტალურად შესწავლის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ყველა თუ არა, უმრავლეს შემთხვევაში პარტიული მიზნები დანაშაულებრივი საქმიანობის მხოლოდ ფასადი იყო, შესაბამისად, აღნიშნული გაერთიანებების განხილვაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ორგანიზებული დანაშაულობის ისტორია ფაქტობრივად უკვე იდენტურად ვითარდება საქართველოსა

და რუსეთში, რაც დასრულდა ქურდული სამყაროს ჩამოყალიბებით. ამ ნაწილში შესწავლილია ხსენებული დანაშაულებრივი გაერთიანების წარმოშობის მიზეზები, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის თავდაპირველი წესები, სახელმწიფოს დამოკიდებულება და მის მიერ გატარებული ზომები მოცემული ორგანიზაციის მიმართ, ის, თუ როგორ ხდებოდა დანაშაულებრივი სამყაროს მართვა ე.წ. „კანონიერი ქურდების მეშვეობით“ ოფიციალური სტრუქტურების მიერ. დეტალურადაა განხილული ამ სამყაროში განხორციელებული ეტაპობრივი ცვლილებები და უკვე 1990-იანი წლებისათვის მისი ტრანსფორმირების პროცესი დასავლური ტიპის განგსტერულ-მაფიოზური დაჯგუფებების მსგავს კრიმინალურ ორგანიზაციებად, ასევე ამის გამომწვევი მიზეზები.

დასასრულს, ასევე განხილულია მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პერიოდში საქართველოში არსებული ვითარება, რომლის განმავლობაში ჩამოყალიბებული კრიმინალური გაერთიანებები, ალბათ, მკვეთრადაა განსხვავებული ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისაგან, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არსებულ, ვითომდა პოლიტიკური ნიშნით შექმნილ ჩვეულებრივ კრიმინალურ გაერთიანებებს ახასიათებთ ორგანიზებული დანაშაულობის ნიშნები.

თავი მეორე (ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება)

ამ თავში განხილულია მსოფლიოში მეტნაკლებად ყველაზე ცნობილი დანაშაულებრივი გაერთიანებები და მათი საქმიანობის სახეები და თავისებურებები.

პირველ ქვეთავში (ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები) წარმოჩენილია მსოფლიოში მოქმედი მეტნაკლებად ყველაზე ძლიერი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებები:

- ჩინური ტრიადები და ტონგები;
- იაპონური იაკუძა;
- კოლუმბიური კალისა და მედელინის კარტელები;

- ნიგერიული ტრანსაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები;
- იტალიური კოზა ნოსტრა, კამორა და ნდრანგეტა;
- რუსული ქურდული სამყარო, „სოლნცევოს“, „ურალმაშისა“ და სხვა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები.

აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანებების მიმოხილვისას ყურადღებაა გამახვილებული მათი წარმოშობის მიზეზებსა და ხელისშემწეობ გარემოებებზე, დაჯგუფებების სტრუქტურაზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად მკაცრად არიან ისინი ორგანიზებულნი, განსხვავებებზე, რომლებიც მათ ახასიათებთ საქმიანობის წარმართვისას, მაგალითად, რამდენად იყენებენ კონსპირაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში, წარმოადგენს თუ არა ძალადობა მათ თვითმიზანს და რა დოზით, რომელი სახის დანაშაულებრივ საქმიანობას ანიჭებენ ისინი უპირატესობას, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას მიმართავენ უფრო მოსყიდვას თუ დაშინებას და ა.შ. აქ ასევე ასახულია ფაქტები თუ მოვლენები, რომლებმაც განაპირობეს ამა თუ იმ დანაშაულებრივი გაერთიანების აღმასვლა და დასუსტება, ასევე ის, თუ რა სახით მოქმედებენ ისინი თანამედროვე პერიოდში.

მეორე ქვეთავში (ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ძირითადი საქმიანობა) განხილულია ორგანიზებული დანაშაულობრივი საქმიანობის სახეები. ცხადია იმ მრავალფეროვანი კრიმინალური ქმედებებიდან გამომდინარე, რომელიც ზოგადად დანაშაულებრივი სამყაროს მიერ ხორციელდება, შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა და მიმოხილვა, თუმცა ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში შესწავლილია მეტნაკლებად ყველაზე შემოსავლიანი და ფართოდ გავრცელებული საქმიანობის სახეები, რომელთაც ძირითადად ახორციელებენ ტრადიციული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანებები.

ერთ-ერთი ასეთი კრიმინალური საქმიანობაა მევახშეობა. მითითებულ ქმედებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ერთი

მხრივ იმიტომ, რომ მოაქვს უზარმაზარი უკანონო შემოსავალი, ხოლო მეორე მხრივ მეტად ძნელია მისი გამორჩევა კანონიერი საქმიანობისაგან. შესაბამისად, განხილულია ამ კრიმინალური ქმედების თავისებურებები, მისი გავრცელებულობა ამა თუ იმ ქვეყანაში და ასევე ის, თუ უშუალო მოგების მიღების გარდა, რამდენად დიდ ბერკეტს წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობა გავლენის სფეროების გასაფართოებლად.

მოცემულ ქვეთავში განხილულია ასევე რეკეტი. ყურადღებაა გამახვილებული რეკეტის სახეებზე, კერძოდ, შრომით რეკეტზე და რეკეტზე გამოძალვით. საუბარია თითოეული მათგანის თავისებურებებზე, იმაზე, თუ როგორ მოხდა ამ სახის კრიმინალური ქმედების განვითარება, როგორ ახორციელებდნენ აღნიშნულ საქმიანობას სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები და როგორ გავლენას ახდენდა იგი ქვეყანაში არამხოლოდ ბიზნესის რომელიმე სფეროს განვითარებაზე, არამედ მთლიანად მოსახლეობასა და სახელმწიფოზე.

ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის ფარგლებში ასევე განხილულია „ფულის გათეთრების“, ანუ უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის ფენომენი. ცხადია, აღნიშნული ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ, ვინაიდან კრიმინალური გაერთიანებების შექმნის მიზანი შემოსავლის მიღებაა, ხოლო დანაშაულებრივი შემოსავლის გამოყენება შეუძლებელია, თუ არ მოხდა მისთვის ლეგალური სახის მიცემა. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანება განსხვავებულ გზებს იყენებდა, შესაბამისად ნაშრომის ამ ნაწილში, სწორედ მითითებულ ასპექტზეა გამახვილებული ყურადღება და განხილულია ეგრეთ წოდებული „ფულის გათეთრების“ ყველაზე ეფექტური და პოპულარული საშუალებები.

მსოფლიოში წლის განმავლობაში ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენაზე იხარჯება ათეულობით მილიარდი დოლარი, შესაბამისად, ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის შესწავლა

არასრულყოფილი იქნება აღნიშნული საქმიანობის განხილვის გარეშე. ნაშრომის ამ ნაწილში შესწავლილია ძირითადი ტერიტორიები თუ სახელმწიფოები, სადაც ხდება ნარკოტიკული ნივთიერების კულტივირება, გადამუშავება, ტრანზიტი, ექსპორტი და საბოლოოდ ვერეთ წოდებული საცალო, მცირე ოდენობით გაყიდვები. განხილულია ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ კრიმინალური ქმედების განვითარებას ამა თუ იმ სახელმწიფოში, ასევე ხაზია გასმული, თუ რამდენად მეტად მიმართავენ მოცემულ საქმიანობაში ჩართული კრიმინალური გაერთიანებები ძალადობასა და სისატიკეს სხვა ტრადიციული დანაშაულებრივი საქმიანობის განმახორციელებელი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით.

ორგანიზებული დანაშაულობის ფარგლებში განხილულია ასევე პროსტიტუციის ქსელების ორგანიზება და მასთან დაკავშირებული ადამიანებით უკანონო ვაჭრობა. შესწავლილია ამ მიმართულებით ყველაზე მეტად აქტუალური „დონორი“ და „რეციპიენტი“ ქვეყნები, აღნიშნული საქმიანობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და ის თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ კრიმინალურ საქმიანობას დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის ფულადი მოგების მიღების გარდა (მაგალითად, გასართობ დაწესებულებებში დასაქმებული გოგონების მეშვეობით ეფექტური საინფორმაციო ქსელის შექმნა, როგორც ეს განახორციელა ლაკი ლუჩიანომ მე-20 საუკუნის დასაწყისში).

დასასრულს, მიმოხილულია უკანონო აზარტული თამაშებიც, რომლებიც თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში წარმოადგენს პრობლემას. აქ ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტორებზე, რომლებიც პოპულარულს და მომგებიანს ხდიან ამ სახის უკანონო საქმიანობას იმის გათვალისწინებით, რომ უმეტეს ქვეყნებში აზარტული თამაშები ლეგალიზებულია. ნაშრომის მოცემულ ნაწილში განმარტებულია სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც უბიძგებთ ჩვეულებრივ მოქალაქეებს რიგ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ უკანონო აზარტულ თამაშებს მიანიჭონ.

თავი მესამე (ქურდული სამყარო, როგორც ორგანიზებული დანაშაულობის ერთერთი ფორმა)

მესამე თავში განხილულია ე.წ. „ქურდული სამყარო“ როგორც ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი უნიკალური ფორმა. აღნიშნული კრიმინალური გაერთიანება გამოცალკევებულია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ათეული წლების განმავლობაში იგი შეადგენდა როგორც ქვეყნის, ისე მოქალაქეთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილს და უდიდეს გავლენას ახდენდა როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნეს-საქმიანობის ნებისმიერ სფეროზე. წინამდებარე თავი ეძღვნება ქურდული სამყაროს ფენომენის ანალიზს ქართველი კანონიერი ქურდების რეგიონალური თავისებურებების ჭრილში. მასში განხილულია აგრეთვე დისერტანტის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის შესახებ საქართველოში.

პირველ ქვეთავში (ქართველი კანონიერი ქურდები – რეგიონული თავისებურებანი) ინტერნეტ და სხვა რესურსებიდან მოპოვებულ, აგრეთვე ნაშრომში მოხსენიებული ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა ქურდული სამყაროს ეგრეთ წოდებული ქართული ფრთის თავისებურებების შესწავლა, კერძოდ გამოკვლეულ იქნა ქართველი კანონიერი ქურდების:

- ასაკობრივი მდგომარეობა;
- კრიმინალური ავტორიტეტის წოდების მინიჭების ასაკი;
- ეთნიკური შემადგენლობა;
- წარმომავლობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და კუთხიდან;
- ოჯახური მდგომარეობა (რამდენს აქვს შექმნილი ოჯახი);
- ნასამართლობების ოდენობა;
- დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩადენისთვისაც გაასამართლეს ისინი;
- ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტები;
- სამოქმედო ტერიტორიები და ქვეყნები.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოტანილ იქნა დასკვნები დამდგარი შედეგების, მათი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ.

მეორე ქვეთავში (საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულობისა და კანონიერი ქურდების შესახებ) წარმოჩენილია საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულობისა და კანონიერი ქურდების შესახებ. მითითებული ინფორმაცია მოპოვებულია საზოგადოების ხუთი სხვადასხვა სოციოლოგიური ჯგუფის: სკოლის მოსწავლეების, 18-დან 25 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდების, სოფლის მოსახლეობის, პოლიციის აკადემიის კურსანტებისა და მოქმედი პოლიციის თანამშრომლების სპეციალური ანკეტით გამოკითხვის შედეგად.

ანკეტაში დასმულ იქნა შემდეგი შეკითხვები:

- რას წარმოადგენენ კანონიერი ქურდები?
- რამდენად ეფექტურია კანონიერი ქურდების წინააღმდეგ 2003 წლის შემდეგ
- გატარებული ღონისძიებები საქართველოში?
- ქონიათ თუ არა შეხება კანონიერ ქურდებთან?
- თვლიან თუ არა, რომ საზოგადოებაში კვლავაც მძლავრობს ქურდული ტრადიციები?
- რომელი ასაკობრივი ჯგუფი ექცევა ყველაზე მეტად ქურდული ტრადიციების გავლენის ქვეშ?
- საიდან მიიღეს ინფორმაცია კანონიერი ქურდების შესახებ?
- რა ურთიერთობებია ოლიგარქებსა და კანონიერ ქურდებს შორის?
- არსებობს თუ არა კორუფციული ურთიერთობები კანონიერ ქურდებსა და საჯარო მოხელეებს შორის?
- გამოკითხულთა აზრით, კანონიერ ქურდებთან ბრძოლის რა ზომები უნდა იქნეს დამატებით მიღებული?
- რომელ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურას შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი კანონიერ ქურდებთან ბრძოლაში?
- შემცირდა თუ არა ქურდული ტრადიციების გავლენა არასრულწლოვანთა შორის 2003 წლის შემდეგ?

მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად გამოტანილია დასკვნები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ კანონიერი ქურდები საზოგადოების აზრით, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ეფექტური აღმოჩნდა თუ არა 2003 წლის შემდეგ მათ წინააღმდეგ მიმართული მკაცრი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რა შეიძლება დამატებით გაკეთდეს ქურდული სამყაროს გავლენის შესამცირებლად და ა.შ.

ამავე ქვეთავში გაანალიზებულია ასევე ექსპერტთა გამოიკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ამისათვის საგანგებოდ შეირჩნენ რესპონდენტები, რომელთაც პრაქტიკული შეხება ჰქონდათ ზოგადად ორგანიზებული დანაშაულობისა და უშუალოდ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ ბრძოლასთან, კერძოდ:

- შსს აკადემიის პრორექტორი, ყოფილი შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
- საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საერთაშორისო ძებნის სამმართველოს უფროსი;
- შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, ყოფილი შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ყოფილი შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის უფროსი;
- თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი.

მათ მიერ შევსებულ ანკეტაში დასმული იყო შემდეგი შეკითხვები:

- თვლით თუ არა რომ კანონიერი ქურდების პრობლემა აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის?

- კანონიერი ქურდებიდან ვინ იყო და არის ყველაზე ავტორიტეტული საქართველოში?
- როგორი იყო/არის ქურდული სამყაროს სტრუქტურა საქართველოში?
- რამდენი წევრია კანონიერი ქურდების მიერ მართულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებში?
- როგორ ნაწილდება გავლენის სფეროები ქურდულ სამყაროში?
- დაახასიათეთ „კანონიერი ქურდები“, რომელთანაც გქონიათ შეხება.
- განსხვავდებიან თუ არა ქართველი კანონიერი ქურდები სხვა კანონიერი ქურდებისგან?
- რა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორზე იყო დაფუძნებული ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდების ქართული კრიმინალური სუბკულტურა? რაშია მისი მიმზიდველობა?
- რამ გამოიწვია ქართველი კანონიერი ქურდების მასიური მიგრაცია 2003 წლიდან?
- რა ცვლილებები განიცადა ორგანიზებულმა დანაშაულობამ საქართველოში სსრკ-ს დაშლის შემდეგ?
- შეგიძლიათ თუ არა, განმარტოთ კანონიერი ქურდების როლი 1990-2003 წლების პოლიტიკურ გადატრიალებებში, ეთნო-კონფლიქტებში, სამოქალაქო ომსა და საქართველოს უახლესი ისტორიის სხვა ნეგატიურ მოვლენებში? უშუალოდ მონაწილეობდნენ თუ არა დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაში კანონიერი ქურდები?
- ბიზნესის რა სფეროში მონაწილეობს/მონაწილეობდა ან რა სფეროს აკონტროლებს/აკონტროლებდა ქურდული ელიტა?
- როგორი იყო/არის ბიზნესის სფეროს კონტროლის მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულობის მიერ?
- პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში როგორია თანამედროვე კანონიერი ქურდების კავშირი ან მათი მონაწილეობა პოლიტიკაში, ასევე როგორია სახელმწიფო ელიტის ურთიერთობა მათთან;
- არსებობს თუ არა კონკურენცია და წინააღმდეგობა კანონიერ ქურდებს შორის, ასევე მათსა და სხვა კრიმინალურ

დაჯგუფებებს (ოჯახური კლანები, ეგრეთწოდებული „ბრიგადები“ და ა.შ.) შორის?

- ქართველი კანონიერი ქურდების ტრანსნაციონალური კავშირები;
- ქართველი კანონიერი ქურდები სხვა ქვეყნებში;
- თქვენი აზრით, კანონიერ ქურდებთან ბრძოლის ეფექტურობისათვის რა ღონისძიებები უნდა გატარდეს?
- რომელ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურას შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი კანონიერ ქურდებთან ბრძოლაში?

მითითებული კვლევის შედეგად უშუალოდ ქურდულ სამყაროსთან ბრძოლაში დიდი გამოცდილების მქონე პირთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გამოგვეტანა დასკვნები, თუ რამდენად ავტორიტეტულნი არიან ქართველი კანონიერი ქურდები, როგორია მათი დაჯგუფებების სტრუქტურა, შემადგენლობა, რითი განსხვავდებიან ისინი სხვა კრიმინალური ავტორიტეტებისაგან, რა ტრანსნაციონალური კავშირები გააჩნიათ და ა.შ.

თავი მეოთხე (ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება)

მეოთხე თავში განხილულია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება. ნაშრომის მითითებულ ნაწილში გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის - ამ მიმართულებით ყველაზე გამოცდილი ქვეყნების მიერ გატარებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებები. ასევე მოკლედაა მიმოხილული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და ამ მიმართულებით მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები.

პირველ ქვეთავში (ამერიკის შეერთებული შტატები) წამოჩენილია ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. აღნიშნულ ფარგლებში

გაანალიზებულია ქვეყნის ძირითადი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის:

- საგადასახადო კოდექსი;
- კანონი კონტროლირებადი სუბსტანციების შესახებ;
- კორუმპირებული და რეკეტული გავლენის შესახებ აქტი;
- განგრძობადი კრიმინალური ბიზნესის შესახებ სტატუტი;
- კრედიტის დაცვის შესახებ კანონი.

ხაზგასმულია დროთა განმავლობაში აღნიშნული აქტების პრაქტიკაში გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი ეფექტურობის გაუმჯობესების გზები.

ამავდროულად, განხილულია აღნიშნული კანონების პრაქტიკული გამოყენების ხერხები და შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურები.

მეორე ქვეთავში (იტალია) საუბარია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაზე იტალიაში. ნაშრომის ამ ნაწილში შეფასებულია ისეთი მნიშვნელოვანი იტალიური ნორმატიული აქტები, როგორცაა კანონი მაფიის წინააღმდეგ (ანტიმაფია), კანონი N646 (რონიონი ლა ტორე) და სხვა. მითითებული კანონების ანალიზის პარალელურად ხაზგასმულია ის მოვლენები და ფაქტები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მათ პრაქტიკულ გამოყენებას, სხვადასხვა ახალგაზრდული და ზოგადკულტურული პროექტების განხორციელებას, რომელთაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, საზოგადოების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში აღნიშნული საკითხისადმი და საბოლოო ჯამში განსაზღვრეს ის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც ამ პროცესში წარმოჩნდნენ.

მესამე ქვეთავში (გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (პალერმო, 2000 წლის 15 ნოემბერი)) განხილულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია მითითებული საერთაშორისო აქტის ყველა ძირითადი დებულება. ასევე განსაზღვრულია მისი გავლენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, ხაზგასმულია კონვენციის დადებითი მნიშვნელობა ზოგადად ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, აღნიშნულ ფარგლებში კონვენციის წევრი ქვეყნების თანამშრომლობის საფუძვლები და ა.შ.

მეოთხე ქვეთავი (ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში) ეხება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში არსებულ საერთაშორისო პოლიციურ ორგანიზაციებს – ევროპოლსა და ინტერპოლს. ნაშრომის ამ ნაწილში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებების შესახებ, ასევე განხილულია მათი წვლილი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში. ამასთან ერთად, მოკლედაა მიმოხილული მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროექტები ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, სადაც ხაზგასმულია საქართველოს მონაწილეობა და შეტანილი წვლილი მითითებულ საქმეში.

თავი მეხუთე (ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გამოცდილება საქართველოში)

მეხუთე თავი ეხება საქართველოს გამოცდილებას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. აქ განხილულია როგორც აღნიშნული სოციალური მოვლენის პრევენციისათვის განხორციელებული პროგრამები, ასევე მითითებულ სფეროში არსებული ქართული კანონმდებლობა.

პირველი ქვეთავი (ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მასთან მიმართებაში) ეხება ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციასა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას მასთან მიმართებით. საწყის ეტაპზე

მიმოხილულია სხვადასხვა, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები მითითებულ სფეროში. კერძოდ, გაანალიზებულია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, საკითხები, რომლებიც უკავშირდება კომპლექსურად თუ იზოლირებულად მათი გამოყენების პრობლემას, ასევე იმას, თუ რა პროგრამების განხორციელებაა მიზანშეწონილი აღნიშნულთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ქართული სახელმწიფოს მიერ წარმოებული ღონისძიებები ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციის კუთხით. გაანალიზებულია სხვადასხვა კომპლექსური ქმედება თუ რეფორმა, რომელიც გატარდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. ამასთან დაკავშირებით ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ, ცალკეული რეფორმის, პროექტის ან რაიმე ღონისძიების ეფექტურობის მიუხედავად, თითოეული მათგანის იზოლირებულად განხორციელება წარმატებულ შედეგს ვერ მოიტანს, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციის გარანტიას მხოლოდ მათი ერთობლივი გატარება იძლევა.

ქვეთავის დასასრულს წარმოჩენილია რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელიც გაზრდის როგორც ზოგადად კრიმინალის, ისე ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციის ეფექტურობას საქართველოში.

მეორე ქვეთავში (ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკანონმდებლო ნორმები) განხილულია საქართველოს კანონმდებლობა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, რომელიც მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის (ჯგუფური დანაშაული) მე-3 ნაწილსა და საქართველოს კანონს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. ნაშრომის ამ ნაწილში განმარტებულია ყველა მნიშვნელოვანი დეფინიცია თუ ნორმა, რომელიც გვხვდება მითითებულ ნორმატიულ აქტებში, ასევე მათი გამოყენების საფუძვლები და საშუალება. აგრეთვე ყურადღებაა გამახვილებული იმ დადებით მხარეებზე, რომლებიც გამოწვეულია ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის

შესახებ~ საქართველოს კანონის მიღებით, რადგან ამით მოხდა იმ ქმედებების კრიმინალიზაცია, რომელთა მიმართ სიხლის სამართლებრივი დევნის წარმოება შეუძლებელი იყო სწორედ საკანონმდებლო ხარვეზის გამო.

დასკვნა

ორგანიზებული დანაშაულობის ფენომენის შესწავლამ საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა საკანონმდებლო და პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. ორგანიზებული დანაშაულობა დანაშაულობის განსაკუთრებული და სპეციფიკური ფორმაა. ის საკუთარ თავში მოიცავს ფართომასშტაბიან დანაშაულებრივ სუბიექტს – მდგრად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებას, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ერთიანი ორგანიზმი არამხოლოდ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პერიოდში, არამედ ხანგრძლივი დროის მანძილზე;
2. ორგანიზებული დანაშაულობა ვერ იარსებებს კორუფციის გარეშე. მისი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზაცია. ორგანიზებული დანაშაულობა და კორუფცია სისტემური სოციალური მოვლენებია, რომელთაც გარემოს შეცვლისა და ტრანსფორმაციის უნარი შესწევთ საკუთარი ინტერესების შესაბამისად; ერთდროულად შეუძლიათ თავად შეიცვალონ იმ პირობების შესაბამისად, რომლებშიც უწყვეტ ფუნქციონირება.
3. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხისადმი საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რაც გულისხმობს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ზოგადსოციალური ღონისძიებების შეთანხმებულ გატარებას.
4. ორგანიზებულ დანაშაულობასთან წინააღმდეგ ქმედების მექანიზმს ქმნის სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, იდეოლოგიური, ორგანიზაციული და

სამართალდამცავი ხასიათის ღონისძიებების სისტემები, რომლებსაც ზემოთ ხსენებული ინსტიტუტები იყენებენ ორგანიზებული დანაშაულობის ნეიტრალიზაციისა და აღკვეთისათვის.

5. წინააღმდეგქმედების სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს მთლიანად საზოგადოება. პირველ რიგში, სახელმწიფო, შემდეგ – სამოქალაქო საზოგადოების არასახელმწიფო ინსტიტუტები, იურიდიული და ფიზიკური პირები. ამავდროულად, ორგანიზებულ დანაშაულობასთან ეფექტური ბრძოლის საწინდარია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტის ერთობლივი ძალისხმევა, მათი საერთო მიზანმიმართული საქმიანობის ფორმების შერჩევა-შემუშავება.
6. როგორც საქართველოში არსებულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, გადამწყვეტი როლი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ეკუთვნის სახელმწიფო სტრუქტურებს, იმდენად რამდენადაც, მხოლოდ ისინი ფლობენ იძულების ხერხებსა და ინსტიტუტებს. სახელმწიფო საზღვრავს დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულებებს. ორგანიზებულ დანაშაულობასთან და განსაკუთრებით „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტთან წინააღმდეგქმედების მთავარ ელემენტს წარმოადგენს უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მკაცრი თანმიმდევრული პოლიტიკა მიმართული მსგავსი სახის დანაშაულობის კორუფციული, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური შემადგენლების განეიტრალებისაკენ.
7. ამავდროულად, მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მონაწილეობის გარეშე არასაკმარისია, ვინაიდან აქ მთავარია ზოგადი პრევენციის და არა ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტულ ფორმებთან ბრძოლის საკითხი.
8. სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით განსაზღვრავს მსგავს დანაშაულობასთან ბრძოლის ძირითად მიმართულებებს, მთავარ პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აყალიბებს წინააღმდეგქმედების ნორმატიულ-

სამართლებრივ ბაზას, უზრუნველყოფს შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, კონტროლსა და კოორდინაციას ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბებით ისე, რომ აღნიშნულ პროცესში აბამს არა მხოლოდ კრიმინალურ იუსტიციას (სამართალდამცავ ორგანოებს), არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოსაც, სამინისტროსა თუ უწყებას, საზოგადოებრივ გაერთიანებასა თუ მოძრაობას და მხარს უჭერს მათ ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, საკადრო და სხვა რესურსებით.

9. განსაკუთრებით პოზიტიური როლი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ითამაშა საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში რეფორმირებულმა კანონმდებლობამ. კანონმა ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის წინააღმდეგ შესაძლებელი გახადა დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მათთვის ეკონომიკური პრეფერენციებისა და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევა.
10. ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლების პოლიტიკურ მმართველობაში მოხვედრი თავიდან ასაცილებლად, სასურველია დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები ადამიანებისათვის, რომლებიც ნასამათლევნი არიან რეკეტთან ან ორგანიზებული დანაშაულთან დაკავშირებული ქმედებებისათვის (მაგალითად არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა);
11. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე პირობებთან ადაპტაციისათვის ორგანიზებული დანაშაულობა მუდმივად განიცდის ტრანსფორმირებას, საჭიროა მუდმივად მიმდინარეობდეს ამ ფენომენის შესწავლა პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე, რათა მის წინააღმდეგ ბრძოლა განხორციელდეს თითოეული დეტალის გათვალისწინებით, რაც სავარაუდოდ გახდება წარმატების საფუძველი;
12. იმისათვის, რომ დღის წესრიგში აღარ დადგეს ალტერნატიული არბიტრების და სხვა სადაო საკითხების მომგვარებელი პიროვნებების არსებობა (როგორც ეს ხდებოდა

2004 წლამდე კანონიერი ქურდების, ან კრიმინალური ავტორიტეტების მეშვეობით), საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო აპარატის სრულყოფის მიზნით, რათა ოფიციალურმა ორგანოებმა ეფექტურად და სწორად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე;

13. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობით მოპოვებული მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გაზრდისათვის, საჭიროა მკაცრი მონიტორინგის განხორციელება, რათა შეინარჩუნებულ იქნეს მითითებული სტანდარტი ხსენებულ უწყებებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ვერ იქნება დიდად ეფექტური, რადგან მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის გარეშე, მითითებული სოციალური მოვლენის დამარცხება შეუძლებელი თუ არა, წარმოუდგენლად რთულია. აღნიშნული მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები განხორციელება და რომლებშიც საკუთარი სურვილის შესაბამისად მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობაც;
14. ორგანიზებული დანაშაული არ წარმოადგენს ცალკე აღებული რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემას. თანამედროვე საზოგადოებაში იგი სულ უფრო ტრანსნაციონალური ხასიათისაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, მითითებული კრიმინალის დასამარცხებლად საერთაშორისო თანამშრომლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს
15. მითითებულთან დაკავშირებით სასურველი იქნება საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს როლის გამოკვეთა და მისი შესაძლებლობების სრული გამოყენება;
